„სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ–პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 5 ივნისის N80/01–01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორების და ასისტენტ პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №67/2014 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული კომისიის შემაჯამებელი სხდომის

ოქმი N4

1 აგვისტო, 2014 წელი
(09.00 –11.00 საათი, აუდ. 609)

სხდომას ესწრებოდნენ: პროფ. ნ.თოდუა (თავმჯდომარე), ასოც. პროფ. ჩ. ჯაში (თავმჯდომარის მოადგილე), ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი (მდივანი), ასოც. პროფ. გ. ქეშელაშვილი, ასოც. პროფ. ე. ჩოხელი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ–პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 5 ივნისის N80/01–01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით კენჭისყრის ჩატარება და კონკურსის შედეგების შეჯამება.

მოისმინეს:

1. „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ–პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 5 ივნისის N 80/01–01 ბრძანების თანახმად გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასისტენტ-პროფესორის (1 საშტატო ერთეული) და მარკეტინგის კათედრის ასისტენტ-პროფესორის (1 საშტატო ერთეული) ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამარჯვებულების გამოვლენის

მიზნით კენჭისყრის ჩატარების შესახებ კომისიის თავმჯდომარის პროფესორ ნუგზარ თოდუას ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ პროცედურის შესაბამისად ჩატარდა პრეტენდენტების შეფასების ორივე ეტაპი. შედეგების გაანალიზების, ურთიერთშეჯერებისა და კომისიის ყველა წევრის აზრთა გაზიარების საფუძველზე საჭიროა თითოეული პრეტენდენტის საკითხი ღია კენჭისყრაზე დადგეს ცალ-ცალკე (კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის მე-8 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 პუნქტები), რათა გამოვლინდეს „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ–პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 5 ივნისის N 80/01–01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულები შემდეგი საკონკურსო თანამდებობების მიხედვით: მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა: ასისტენტ-პროფესორი (1 საშტატო ერთეული); მარკეტინგის კათედრა: ასისტენტ-პროფესორი (1 საშტატო ერთეული).

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ.თოდუამ, ასოც. პროფ. ჩ. ჯაშმა, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილმა, ასოც. პროფ. გ. ქეშელაშვილმა, ასოც. პროფ. ე. ჩოხელმა.

კომისიის მიერ პრეტენდენტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კომისიამ ჩაატარა ღია კენჭისყრა:

ა. „მენეჯმენტისა და ადმინისტრირების“ კათედრა: ასისტენტ-პროფესორი –1 საშტატო ერთეული

მანანა ხარხელის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე 5, წინააღმდეგი – 0.

თამარ დევიძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე 1, წინააღმდეგი – 4.

ბ. „მარკეტინგის“ კათედრა: ასისტენტ-პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

მაია სეთურის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე 5, წინააღმდეგი – 0.

ბორის ლაგვილავას გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე 2, წინააღმდეგი - 3.

დაადგინეს:

1. „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ–პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 5 ივნისის N 80/01–01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასისტენტ-პროფესორის (1 საშტატო ერთეული); მარკეტინგის კათედრის ასისტენტ-პროფესორის (1 საშტატო ერთეული) კენჭისყრის ჩატარებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების საფუძველზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამარჯვებულად გამოცხადდეს:
   ა. მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა: ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთ) საშტატო ერთეულზე **მანანა ხარხელი.**
   ბ. მარკეტინგის კათედრა: ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთ) საშტატო ერთეულზე **მაია სეთური.**
2. კომისიამ იმსჯელა მის მიერ გაწეული სამუშაოს მოცულობის, მნიშვნელობის და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2013 წლის 18 ნოემბრის N 126/2013 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესთან შესაბამისობის შესახებ და დაადგინა, რომ გაწეული სამუშაო იყო მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისად განხორციელებული.
3. კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ ვებ-გვერდზე და განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.
4. კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგები იმავე კომისიაში. კანდიდატმა საჩივარი უნდა ჩააბაროს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში, მისამართი: თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქუჩა N2 (კორპუსი 10), ოთახი N310.
5. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის N126/2013 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“ შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარე /პროფ. ნ. თოდუა/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე /ასოც.პროფ. ჩ.ჯაში/

კომისიის წევრები:

/ასოც.პროფ. გ. ქეშელაშვილი/

/ასოც. პროფ. ე. ჩოხელი/

კომისიის მდივანი /ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

01.08.2014